

რიში. ხოლო მომავლისთვის კი სრულიათ გზიდვან ჩამოცლა, გადადგომა. მათ განუცხადეს მთავრობას ხალხის გასაქირი, გადაუშალეს მას თვალწინ ხალხის წყლულები, ხოლო მალამოთ მოსთხოვეს მთავრობას „მიწა და თავისუფლება“. მიწების მსხვილი მემამულეთაგან ძალით ჩამორთმევა და ხალხის ხელში გადაცემა. ასე მოიქცა როგორც პირველი, ისე მეორე სათათბირო. ამიტომაც მთავრობამ დაითხოვა, ერთიც და მეორეც. ხოლო საუკეთესო პირები, ნამეტნავათ სოციალ-დემოკრატები, ციხე-ციმბირისკენ გაამგზავრა. დღესაც თქვენ მიერ არჩეულ დეპუტატებს ციხის ოთხ კედელ შუა ან კატარღის აუტანელ პირობებში სული ამოსდით, მხოლოდ ამიტომ, რომ ისინი ხალხის კენესას და ქირვარამს გაბედულათ აცნობდენ მთავრობას და ამგვართ თავიანთ მოვალეობას პირნათლად ასრულებდენ. მთავრობა კი შეუდგა მესამე დუმის არჩევნებს. მან სრულიათ შესცვალა საარჩევნო წესი, ისე რომ ახლა მხოლოდ მსხვილ მემამულეებს და მდიდრებს მიეცათ საარჩევნო უფლება. მუშებსა და გლეხებს კი ისე შეუზღუდეს ეს უფლება, რომ ერთ მუქა მემამულეებს და მდიდრებს დეპუტატების უფრო მეტი რიცხვი უნდა აერჩიათ, ვიდრე ას მილიონიან გლეხებს და მუშებს. კერძოდ ჩვენზედ კი კავკასიაზედ და ნამეტნავათ ქართველებზედ და სომხებზედ ხომ მთავრობა განრისხებულია. რათ აირჩიეთ ხალხის ყველაზედ უფრო მეგობარი-სოციალდემოკრატებია და, თუ წინეთ მარტო ქუთაისისა და თბილისის გუბერნიას შვიდი დეპუტატის არჩევის უფლება ქონდა, ახლა ორზედ ჩამოიყვანეს. ამგვარი საშუალებით შესდგა მესამე დუმა. მასში სულ ოთხას ოცდათექვსმეტი დეპუტატია და იმათში დიდი უმრავლესობა მთავრობის და მემამულეების მომხრე. სულ თექვსმეტი სოც.-დემოკრატი და რამოდენიმე კიდევ გლეხების დეპუტატები—აი ვინ არიან მხოლოდ ხალხის ქირისუფლები მესამე დუმაში. ყველაზედ გავლენიან პარტიას მესამე დუმაში (ას ორმოცი კაცი) ემახიან ოქტომბრისტების პარტიას. ეს პარტია დაარსდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხალხმა ბრძოლით აიძულა მთავრობა გამოეცა ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტი. აი ვითომ ამ დღის სახსოვრათ დაარ-

ქვეს მათ თავიანთ პარტიას ოქტომბრისტების პარტია; თუმცა არც ამ მანიფესტის შინაარსთან, არც თავისუფლებასთან ამ პარტიას არავითარი კავშირი არა აქვს. მასში შედიან მდიდარი მოვაჭრეები, მწარმოებლები (ესეგიე კაპიტალისტები) და მსხვილი მემამულენი; ამაზედ მომდევნო პარტია არის, ეგრეთ წოდებული მემარჯვენეების პარტია. (ას ათი კაცი), რომელსაც სახელათ ქვიან „ქეშმარიტ რუსთა კავშირი“. ეს ის პარტიაა, რომელიც ცდილობს ხალხი ძველებურათ სიბნელეში და სხვის მონა მორჩილებაში დასტოვოს. ის ისევე გაურბის ყოველივე გაუმჯობესობას ხალხის ცხოვრებაში, როგორც ეშმაკი სინათლეს. ამ პარტიის წევრები მოუწოდებენ ხალხს ამოწყვეტონ ის პირები, რომლებიც ხალხს არიგებენ, სინათლის გზას აჩვენებენ. ისენია, რომ არბევენ და აწიოკებენ რუსეთში ებრაელებს და მოითხოვენ ქართველების, სომხების, თათრების და სხვა განაპირა ქვეყნების არა რუს მცხოვრებთა შევიწროება-განადგურებას. ერთი სიტყვით, ეს არის ნამდვილი კაცი-ქამია პარტია. არიან კიდევ სხვა პატარ-პატარა ჯგუფები მესამე დუმაში, ეგრეთ წოდებული, პროგრესისტები (ოცდა ხუთმეტი კაცი), კადეტები (ოთხმოცდა ათი) და სხვა, მარამ ამათ არა აქვთ არავითარი გავლენა საქმის გადაწყვეტაში. ამ გვართ როგორც ვხედავთ მთავრობამ მიზანს მიახწია. ხალხის ბედ-იღბალი—ხალხის მოსისხლე მტრებს ჩაუვარდათ ხელში. გლეხის ქირ-ვარამზე უნდა იზრუნოს მემამულემ, მუშის შრომის აუტანელი პირობების გაუმჯობესობაზედ—დამქირავებლებმა, ხაზინებმა, (კაპიტალისტებმა). ხალხის თავისუფლებაზედ—კაციქამია მემარჯვენეებმა, თავისუფლების დაუძინებელმა მტრებმა. აი რას წარმოადგენს თვის შემადგენლობით მესამე დუმა. ცხადია, მთავრობა აღარ გაუწყრება ასეთ სათათბიროს. ან კი რას ერჩის, თუ პირველ ორ დუმაში ისმოდა ხალხისთვის თავდადებული პირების მქეპარე ხმა, მთავრობის მოქმედების განკიცხვისა და ეს ხმა თავზარსა სცემდა ხალხის მტრებს, ახლა მის (მთავრობის) წინაშე მოწიწებით გამოკიმულან მემამულე-კაპიტალისტები და ქება-დიდებით იხსენიებენ მას და პირდებიან, შენ ოლონდ ჩააქრე ხალ-

ხში ყოველივე ნასახი თავისუფლებსა, შენ ოღონდ აიკლევ-ააწიოკე გათამამებული გლეხები და მუშები, რომ მათ დაიფიწონ „მიწა და თავისუფლება“ და ჩვენ შენ შერყეულ ბატონობას გაეამაგრებთო. მხოლოთ ხანდის-ხან სოც.-დემოკრატი დეპუტატების აღზნებული მკვახე სიტყვები არღვევენ ამ მორჩილების სურათს და რევოლიუციის აჩრდილს უმაღლესენებენ დუმის გათამამებულ უმრავლესობას თვალ წინ.

ამიტომა, რომ ს. დ. დეპუტატები საშინლად ეჯავრებათ და არც კი აძლევენ ლაბაკის საშუალებას. ყვირილით აწყვეტინებენ მათ სიტყვებს და ხან საცემათაც კი იწევენ.

ახლა აღვნიშნოთ მოკლეთ, რა გააკეთა დუმამ მთელი რვა ავის განმავლობაში. ზემონათქვამს თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ ცხადი იქნება, რომ იგი ვერაფერ კვალს დაამჩნევდა ჩვენ ღუბჭირ ცხოვრებას. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ მემამულე გლეხს მიწას არ მისცემს, ხაზინი მუშას შრომას არ შეუმსუბუქებს, ბნელეთის მოციქულები—ხალხს თავისუფლებას არ აღირსებენ. მთელი რვა

თვის განმავლობაში დუმის უმრავლესობა გაუტრბოდა ხალხის საჭირ-ბორბორ კითხვების განხილვას. არც ერთი ისეთი საკითხი, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზედ დამოკიდებულია სახელმწიფოს და თვით ხალხის ბედნილობა, როგორც მაგალითად მიწის საკითხი, ან მართვა-გამგეობის საკითხი, — დუმას არ გაუტრბოდა. სამაგიეროთ ჩაპურენოდნენ სრულიად უმნიშვნელო კითხვებს და იმას ამდომებდნენ ძვირფას დროს. ის კი ვაარჩიეს, როგორ უნდა ირჩეოდეს რომელიღაც ეკლესიის მნათე, ან როგორ უნდა ცხენების კარგა დაქედვა და იმას კი მხარი აუქციეს, როგორ უშველონ გლეხების და მუშების გაჭირვებულ მდგომარეობას. როდესაც ხალხის მომხრე დეპუტატები აღძრავდნენ რომელიმე საჭირო საკითხს, დუმის უმრავლესობა მათ წინ ეღობებოდათ. ერთად ერთი ღირს შესანიშნავი კითხვა იყო მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვის (ბიუჯეტის) დამტკიცება და ესეც დუმამ მთავრობის სასარგებლოთ გადაწყვატა. სოც.-დ. ამბობდნენ ჩვენ მთავრობას ფულს ვერ მივცემთ, რადგან ის არავის წინაშე პასუხისიგ-

ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

ბოგანო გლეხი.

სოფლიდან სოფლად და ხან ქალაქში,
 კარ და კარ დაეღო განაწამები;
 ბოღმით ქვითინებს საბრალო გული,
 მწარ კრემლთა ფრქვევით მეწვის თვალეები.
 ადგილ-დედული არ მაბადია,
 არც საქონელი, კამეჩ-ხარები;
 მთელი სიცოცხლე დლიური შრომით,
 ტანჯვა, კენესით მაქვს განატარები.
 ქოხი მიდგა პატრა ეზოში,
 ისიც ჩემსავით წამოზნექილი;
 ის არის მხოლოდ თავ-შესაფარი,
 სადაც ბინადრობს წვრილი ცოლ-შვილი.
 ბოგანო გლეხი მქვიან სახელად,
 ძმაო, არა-რა გამაჩნია;
 ყველა ზურგს მაქცევს. ნაღველი მხოლოდ
 ქალაქის მუშამ გაიხიარა.
 მე, მიწის შვილსა, მაწა არა მაქვს,

არც დასამარხი და არც სახნავი;
 მხოლოდ ერთი და რამ შემრჩენია
 ეს არს მარჯვენა, მებრძოლი მკლავი.
 ცოცხალი ძალის მისაყიდათა,
 ყველას ვევედრი, ვემუღარები.
 მაგრამ არ იქნა... არვინ ყიდულობს,
 მშვიერ-მწყურვალ დავიარები.

გ. ქუჩიშვილი.

რა საჭიროა კოოპერატიული საზოგადოება ან რას წარმოადგენს იგი.

ერთ დროს ადამიანი ყველაფერს, რაც მას ესაჭიროებოდა ცხოვრებისათვის, თვითონ აკეთებდა. თვითონ იყო თავის ოჯახისთვის მთესავიცა და ხაბაზიც, შალის მომქსოვიც და ტანსაცმელის შემკერავიც, ტყავის დამშხადებელიც და ხარაზიც, ხუროცა და ნაღბანდიც. ის ჯერდებოდა იმას, რცა თვითონ შეეძლო ოჯახში დაემზადებია და ოჯახის იქით არ მი-

ბელი არ არის, ფულს თავის სურვილისამებრ ფლანგავს და ხალხს კი არას არგებს, ოქტომბრის ტებმა და მემარჯვენებმა კი აიღეს და დაუმტკიცეს ბიუჯეტი.

ასეთია სათათბიროს რვა თვის ნამუშავარი. ახლა დეპუტატები საზაფხულოთ არიან წასულელები, ისვენებენ. ვნახოთ რას იზამენ მომავალში.

მხოლოდ ერთი რამ უნდა გვახსოვდეს. ხალხის ცხოვრების აუტანელ პირობებზედ ქვებიც კი ღალადებენ და ღუმა იძულებული გახდება რაც უნდა გაურბოდეს ან შესაფერი პასუხი გასცეს ხალხის საჭიროებაზედ, ან თავი დაიკოს მისი მრისხანებისგან. ხალხი მუდამ გაჩუმებული არ იქნება, დადგება დრო და ისიც ხმას ამოიღებს...

მო—ლი.



დიოდა. არც არავის გამოქონდა რამე გასასყიდათ, არც თვითონ ყიდულობდა რასმე. რა თქმა უნდა, ადამიანის მოთხოვნილებები მაშინ ძლიერ მცირე იყო, მისი ოჯახის მოწყობილობა მარტივი და ცუდი რამ. ხამის პერანგი ეცვა შიგნით გლენს და ტყავის წამოსახამი ათბობდა გარიდან. სად იყო ნავთი ან სპიჩკა? ღარიბის ქოხს კი არა, მდიდრის დარბაზსაც კი ქონის ქრაქი ანათებდა ხოლმე იმ დროში; სპიჩკის მაგიერ ყველას წელზე კვესითა და აბეღით სავსე ქისა ეკიდა... სად იყო მაშინ ან რა საჭირო იყო ეს დიდი მაღაზიები-საწყობები და ეს ვებერთელა ქალაქები, რომლებსაც დღეს ვხედავთ? სად იყო ვაჭრები, ჩარჩები, დალალები? ეს პირები არ არსებობდნენ მაშინ, ან რა საჭირო იყვნენ, თუ ალებ-მიცემობა, **ვაჭრობა**, არ არსებობდა.

მაგრამ რაც დრო მიდიოდა, ადამიანი უფრო და უფრო აუმჯობესებდა საწარმოვო (მუშაობისათვის საჭირო) იარაღებს, რის გამო იმას შეძლება მიეცა დაემზადებინა მოსახმარებელი საგნები იმაზე ცოტა მეტი, რაც

წარიღები მკითხველ-გლახთან.

გუშინ და დღეს.

III

ესლა ჩვენ უკვე ვიცით მეგობარო, რომ რეაქცია თან სდევს თითქმის მუდამ რევოლუციას და რომ რეაქციის დროებითი გამარჯვება არ ნიშნავს რევოლუციის დამარცხებას. ეს შეიძლება ითქვას, როგორც საზოგადოთ, აგრეთვე კერძოთ, რუსეთის მოძრაობაზედაც. განვიხილოთ.

ნუ თუ შენ არასოდეს არ დაგბადებია ასეთი კითხვა? მთელი ათასი წლობით მორჩილათ ეწეოდა ცხოვრების მძიმე უღელს გაძვალტყავებული გლეხი და თავის მდგომარეობას ურიგდებოდა. ახლა კი ამ მოკლე ხანში სულმთლათ გამოიცვალა ის. რამ შესცვალა მისი მონა-მორჩილი ბუნება? ნუთუ წინეთ არც შიოდა არც წყურბოდა, არც უსახრობას გრძნობდა! რასაკვირველია შენც კარგათ იცი, რომ გაქირვება გლენის მუღმივით განუყრელი სტუმარი იყო; ის მას თან სდევდა ჭირშიც და ღზინშიც. მაგრამ, თუ მიუხედავთ ამისა,

მისთვის და მის ოჯახისათვის საჭირო იყო. ეს ზედმეტი ნაწარმოები ახლა იმას გამოქონდა ოჯახის გარეთ სხვა მისთვის საჭირო საგანში გასაცვლელათ ანუ **გასასყიდათ**. ცხოვრების თანდათან განვითარებას და, განსაკუთრებით, მანქანების გამოგონებას თან მოჰყვა უზარმაზარ ქარხნების გაშენება, სადაც აუარებელი სხე და სხვა საგანი მზადდება მხოლოდ გასასყიდათ. აუარებელ საგნების გასასყიდათ სხვა და სხვა ადგილებში დამზადებას კი თან მოყვა მუღმივი, განუწყვეტელი, გაცვლა-გამოცვლა ამ საგნების ანუ **საქონლის**; დაწესდა ადგილები სადაც ხდებოდა ეს გაცვლა-გამოცვლა (ანუ ვაჭრობა)—გაჩნდა **ბაზარი** (ქალაქი). ახლა საჭირო შეიქნა ისეთი პირებიც, რომელნიც იკისრებდნენ ამა თუ იმ გასაყიდ საგნის, საქონლის იმ ადგილას, იმ ქალაქში ან სოფელში მიტანას, სადაც იგი საჭირო იყო, და იქიდან ისეთ საქონლის წამოღებას, რომელიც აქ იქნებოდა საჭირო. ეს ყიდვა-გაყიდვის საქმე დაბოლოს ისე გართულდა, რომ ადამიანების ერთი ჯგუფი, საზოგადოების ერთი

იმან მაინც მხოლოდ დღეს ამოიღო გაბედულ-
ლათ ხმა, ცხადია მიზეზი უნდა ვეძიოთ დღე-
ვანდელ ცხოვრების პირობებში. ალბათ მას
შეუშვალდება ამისთვის ნიადაგი.

მართლაც, ის რასაც დღეს ხალხი მოითხოვს,
რაც ჩვენ გამოცადეთ არ იყო მეგობარო,
ვისგანმე ხელოვნურად შექმნილი, არ იყო ჩვენი
ცხოვრებისთვის გარედან ძალით აკიდებული,
ყელზედ მოხვეული, ან რომელიმე მქადაგებ-
ლის მიერ შეთხზული-გამოგონილი. არა ეს
იყო და არის თვით ცხოვრებიდან აღმოცე-
ნებული, მის ნიადაგზედ აღზრდილი, მისი
მკერდით გამოკვებილი ცხოვრების მძლავრმა
მუჯღლეგუნმა და არა რომელიმე გარეშე ძა-
ლამ წამოაყენა ფეხზედ ხალხი. ერთი სიტყვით,
რუსეთის მოძრაობა დვიდლ შვილია დღევან-
დელი ცხოვრების უკუღმართობის და მისი
მოსპობა გინდ შეჩერება შეუძლიან მხოლოდ
ერთ რამეს. სახელდობრ, ხალხის მომწიფებულ
საქიროებათა დაკმაყოფილებას.

მაშ ახლა განვიხილოთ შეიძლება თუ არა,
რომელიმე წამოყენებული მოთხოვნილების
მხრის შექცევა ისე, რომ სახელმწიფოს ცხოვ-

ნაწილი, მარტო, ამას მოუნდა. ყიდვა გაყიდვა
ამ პირთათვის განსაკუთრებულ ხელობათ გა-
დაიქცა. ეს ხელობაა—ვაჭრობა, ამ პირებს
კი **ვაჭრებს** ეძახიან.

საქონლის გაცვლა-გამოცვლის ანუ ვაჭრო-
ბის წყალობით საქმის გარემოება სულ შეიც-
ვალა. დღეს ჩვენ რას ვხედავთ? თუ ჩვენს
პაპათ-პაპას შინ მოქსოვილი ხამის პერანგი
ევვა, ახლა არც კი მოიპოვება ისეთი გლეხი,
რომ უბრალო შვიდ-ექვს კაპიკიანი ჩითის
პერანგი მაინც არ ეცვას. მერე სდ არის ეს
ჩითი მოქსოვილი? ჩვენგან ძლიერ შორს,
რამდენიმე თვის სავლელ მანძილზე, ამერიკის
ან ინგლისის ერთ ერთ ქალაქშია იგი მოქ-
სოვილი. შენ რომ ფეხზე წულთა გაცვია, ჩემო
მკითხველო, იმის ტყავი რუსეთის ერთ ერთ
ქალაქშია დამზადებული, მერე თბილისშია
ჩამოტანილი, თბილისელ ხარაზის შეკერილია
და მერე შენ სოფელშია ჩამოტანილი გასას-
ყიდთ. ამ ერთ ღერ სპიჩკას სამი სახელმწი-
ფო აქვს გამოვლილი. ჩვენი ქვეყნიდანაც გა-
აქვთ სხვა და სხვა საქონელი: პური, ღვინო,

რება ნამდვილ კალაპოტში ჩადგეს და განვი-
თარების გზას დაადგეს. ცხადია თუ ეს შესა-
ძლებელია. თუ სახელმწიფოს ძალუძს განაგრ-
ძოს ძველ პირობებში სიცოცხლე მაშინ მეგო-
ბარო, დავიწყეთ გულზედ ხელები და ვეცა-
დოთ ჩავიხრჩოთ გულში მოწოლილი ბრაზი,
ტანი შავი ძაძით შევიმოსოთ, ვიტიროთ და
ვიგლოვოთ დაკარგული იმედები, გაცრუებული
ოცნებები. დავიდავთ კისერზედ ძველებურათ
მონობის უღელი და ვილოდეთ ქვეყნათ, სი-
ნამდისინ უკანასკნელ საკუთრებას—სიცოცხ-
ლეს გამოვესალმებოდეთ. ხოლო თუ ეს შეუძ-
ლებელია, თუ სახელმწიფოსთვის ჩვენი მოთ-
ხოვნები „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხია, მაშინ
გაშალე შენი დანაოქებული შუბლი და ამაყათ
უცქირე მომდგარ ვაჭირვებას იმ იმედით რომ
მომავალი შენ გილიმის.

ხალხის ერთი პირველი მოთხოვნილებათა-
განი, როგორც უწინაც აღვნიშნეთ არის მი-
წების მსხვილი მემამულეთაგან ჩამორთმევა და
ხალხის ხელში გადაცემა. რუსეთი, მეგობარო
მეურნეობის ქვეყანაა. მცხოვრებთა დიდ უმრავ-
ლესობას მიწის-მუშები გლეხები შეადგენენ.

სიმინდი. ბაქოელი ნავთი, მაგალითათ, ოსმა-
ლეთის ან კიდევ გერმანიის ქუჩებს და სახ-
ლებს ანათებს; ჭიათურადან გატანილ შავი-
ქვისაგან დამზადებულ ლითონის რაიმე საგანს
საფრანგეთში და ინგლისშიაც კი ხმარობენ.
ამნაირათ ჩვენ სხვისათვის და სხვებიც ჩვენ-
თვის სრომობენ, მუშაობენ; ვაჭრებს კი გა-
დააქვთ აქეთ-იქით ეს ნაშრომი, ნაწარმოები,
აწვდიან იქ, სადაც საქიროებას ხედავენ.

მაგრამ ეს გამუდმებული შრომა გულკეთი-
ლობით არავის მოსდის. კაპიტალისტი (ბევრი
ფულის მქონე) როცა, ვსთქვათ, სპიჩკის
ქარხანას აარსებს ან იმით ვაჭრობას იწყებს,
ამას იმიტომ კი არ შევება, რომ ხალხი არ
შეწუხდეს უსპიჩკობითო, მას ფულის მოგება
აინტერესებს. ის დანატერესებულია, რაც
შეიძლება მეტი სპიჩკა დაამზადოს და გამოი-
ტანოს გასასყიდათ იმ იმედით, რომ ყველას
გაყიდის და დიდ სარგებლობას ნახავს. ის არ
ეკითხება მყიდველს რა უფრო ესაქიროება
იმას, არ იცის მყიდველების, მომხმარებლების,
მოთხოვნილება, ამიტომ ხშირათ ერთ საქო-

ცხადია რუსეთის ხალხის, აგრეთვე, როგორც ჩვენი ხალხის, კეთილდღეობა, შეუძლებელი და წარმოუდგენელია, თუ უმრავლესობა-გლეხობა მოკლებულია ამ კეთილ დღეობას. ხოლო დღეს რომ იგი მოკლებულია ამას და უიმპილით სიკვდილის მოლოდინში ლაფავს სულს ესეც ხომ სინამდვილეა. აქ ცოტა ხანი უნდა საკითხს ვადაუხვიო და ერთი რამ განვიმარტო. შეიძლება შენ კითხვა დაგებადოს, რას ამოუჩვენია ეს რუსეთი და სულ იმაზედ ლაპარაკობს, წერილებს ქართველ გლეხებს სწერს და რუსი გლეხები აქ რა შუაშიაო. საქმე იმაშია მეგობარო, რომ ჩვენი ბედ-იღბალი ისეა გადახლართული რუსეთის ბედ-იღბალთან, რომ ამ საკითხში მათი განცალკევება შეუძლებელია. უმთავრესი ძალა რუსეთია. მისი გამარჯვება ან დამარცხება ჩვენი გმარჯვება ან დამარცხება, აი ამიტომ როცა ვაშობ „რუსეთის მოძრაობა“ ს-ხეში მაქვს მარტო რუსეთის მოძრაობა კი არა, არამედ მთელ სახელმწიფოში მცხოვრებ ხალხების მოძრაობა. ამათში შევდივართ ქართველებიც, სომხებიც პოლონელებიც და სხვა.

ნელს მოთხოვნილებათ მეტს ამზადებს, მეორეს კი საკმაოსაც არა. მისი მოქმედება სარგებელზეა, მეტ სარგებელზეა აშენებული. მან თუ დაინახა, რომ წაღების კერვა უფრო სარგებლიანია, ის წაღების ქარხანას გახსნის; თუ გაიგო ჩითი მეტ სარგებლობას იძლევა, საფეიქრო ფაბრიკას გახსნის. მაგრამ მომხმარებელის მოთხოვნილება იმას ყოველთვის ფეხზე კიდია, ის თუ უწევს ანგარიშს, ისევ თავის მოქიშპე მექარხნეს ან ვაჰარს. მას ბევრი მოქიშპე ყავს. ამიტომ იგი ცდილობს, ისეთი საშვალელები ან ეშმაკობა რამე გამოიგონოს, რომ საქონლის დამზადება და გაყიდვა სხვა ქარხნის პატრონზე უფრო „ხელსაყრელათ“ დაუჯდეს. ამიტომ იგი ხშირათ სიყალბეს იღენს, აფუქებს საქონელს, ზედა პირს საქონლისას აღამაზებს, აპრილებს, შიგნით კი მდარესა და დამპალ საქონელს ასაღებს. ამნაირათ საბრალო მყიდველს ჯერ აქვე მექარხნე უეგბს მახეს. ასეთ მახეში კი უფრო ხშირათ ღარიბი კაცი ებმება ხოლომე, რადგანაც ღარიბი მუდამ იმის ცთაშია, რომ იფათ შეიძინოს საქონელი,

ჩვენ ვთქვით რომ გლეხი კეთილდღეობას მოკლებულია. მას ჯერ ერთი არ გააჩნია საკმაო მიწა. ის რაც მას დაუტოვეს ბატონყმობიდან განთავისუფლების დროს მომეტებულიათ უფარგისია და რაც დრო გადის იმდენათ უფრო უფარგისდება და, ხალხის გამრავლებასთან ერთად, მცირდება. ბატონყმობის გადავარდნის დროს რუსეთში ითვლებოდა არმოც და ათი მილიონი სოფლის მცხოვრები ახლა კი ოთხმოც და ექვს მილიონსაც სჭარბობს. ასევეა ჩვენშიაც. მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან ერთად საშუალო მიწის ნაკერის სიდიდემაც დაიწია. წინეთ თუ საშუალო ნაწილი მიწისა უდრიდა რუსეთში სულზედ ოთხ ნახევარ დესეტინაზე ცოტა მეტს, ახლარ დესეტინაზე ჩამოვიდა. ამასთან გლეხი დღეს პირველყოფილი იარაღებით ამუშავებს მიწას. მას არა აქვს საშუალება მიწა დაასვენოს ან ხელოვნური პატიგი მოამზადოს და მიწა გაანაყოფიეროს. ამიტომ მოსავალი ჩვენი გლეხისა საშინლათ მცირეა, თითქმის სამჯერ ნაკლები ვიდრე სხვა ქვეყნებში. ჩვენ გლეხს რომ დღიურზედ ათი კოდი პური გამოუეი-

იფათ კი იმას უფარგის საქონელს აწვდიან ხოლომე.

მაგრამ მახე და თვალის ახვევა განსაკუთრებით იწყება მაშინ, როცა საქონელი ქარხნიდან გამოდის და ვაჰრის ხელში გადადის. საქონლის გასასაღებლათ მექარხნე მოლაპარაკებულია მსხვილ ვაჰართან, რომელსაც მთელი დამზადებული საქონელი გამოაქვს ქარხნიდან და თავის თვალმოუწვდენელ მაღაზიაში აწყობს გასასყიდათ. რა თქმა უნდა, როგორც მექარხნეს არ შესტკივა თავი, ისე არც ეს ვაჰარი დაეძებს მომხმარებელის, მყიდველის, სარგებლობას; ის თავის საკუთარ სარგებლობისათვის, საკუთარ ჯიბისთვის, ცდილობს. ამიტომ მექარხნემ თუ ცოტა მოიგო ამ ვაჰრიდან, როცა საქონელი გამოატანა, ეს ვაჰარი თვითონ ერთი-ორათ იგებს, როცა საქონელს სხვას მიყიდის. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ მომხმარებელი პირდაპირ ამ ვაჰრიდანაც ვერ ყიდულობს. ეს, როგორც მსხვილი მოვაჰრე, წვრილმანობით ვაჰრობას არ კადრულობს; მყიდველს კი რათ უნდა, რომ ბევრი საქონე-

დეს, საზღვარ გარეთელ გლეხს ოცდა ათი, ორმოცი გამოსდის. მკოდნე პირების ანგარიშით ერთ ღესეტირა მიწაზედ ჩვენ გლეხს საშუალო რიცხვით მოყავს ოც და ერთი ფუთი, მაშინ, როდესაც ამოდენავე ნაქერ მიწაზედ ბელგიელ გლეხს მოყავს 88 ფუთი, ინგლისელს 84 ფ. იაპონელს 82 ფ. (ბელგია, ინგლისი, იაპონია—სმხელმწიფოებია საზღვარ გარეთ). ამიტომ, რომ ჩვენ სოფლებს შიმშილი არ ანებებს თავს და მუდამ წლიურათ ეწვევა ხლომე. მოუსავლობასთან ერთად გლეხს საქონლის რიცხვიც უმცირდება. რუსეთის მატო ორმოც და ათ გუბერნიაში ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში ორ მილიონამდე იკლო საქონლის რიცხვმა. პირუტყვთა რიცხვის შემცირება თვისი მხრივ მოასწავებს პატვის შემცირებას და მიწის სრულიად გამოფიტვას. ამგვარათ მეურნეობა ეცემა, ხალხი თან და თან უფრო ღატაკდება. ასეთ სურათს წარმოადგენს ღდეს რუსეთის მეურნეობა.

მაგრამ შეიძლება შენ მკითხო მეგობარო, ეს ყველაფერი თუნდაც მართალი იყოს, მაინც რა დამოკიდებულება აქვს ყველა ამას სახელ-

მწმფოს ცხოვრება-განვითარებასთანაო. საქმე იმაშია, რომ გლეხის ასეთი გაქირვებული მდგომარეობა, სოფლის მეურნეობის სრულიად ჩამორჩენა-დაცემა თავის დადს ასევეს მთელ ცხოვრებას.

შენ გეკოდინება, რომ ღღევანღელი ცხოვრების მამოძრავებელი ძალა ვაქრობა წარმოებაა, ფულია. უფულოთ და უეაქრობოთ არც სახელმწიფოს შეუძლია ცხოვრება; ვაქრობისათვის კი საქირა ბაზარი.

რუსეთი ისედაც ჩამორჩენილი ქვეყანაა. რუსეთში გასასყიდათ დამზადებული საქონელი სხვა ქვეყნებში ვერა საღდება, იმიტომ, რომ იქაური ამნაირივე საქონელი უფრო კარგი ღირსებისაც არის და უფრო იათათაც ყიღიან. აბა ვინ იქნება სულელი რომ რუსეთიღდან მოტანილი მღარე საქონელი იყიღოს უფრო მეტ ფასათ. ამნაირათ რუსეთისთვის გარეშე ბაზარი არ არსებობს, სხვაგან ვერაფერს ყიღის. დარჩა შინაური ბაზარი, თავისებს მაინც უნდა მიყიღოს. აქ ძალა-უნებურათ იყიღი რუს მოვაქრისგან, რაც უნდა ძერი იყოს საქონელი, რადგან მთავრობა სხვა

ლი ერთბაშათ იყიღოს? ამიტომ ამ მსხვილ ვაქრიღან საქონელი მეორე უფრო წვრილ მოვაქრეს მიაქეს გასასყიდათ. რა თქმა უნდა ამასაც უპირველესათ ყოვლისა თავისი ჯიბე აინტერესებს. ესეც იგებს ორი იმღენს, რაც პირველ ვაქარმა მოიგო. შეიღლება ვერც ამისაგან იყიღოს მომხმარებელმა საქონელი, იგი კიღვე გამოიღლის რამღენიმე ვაქრის ხელში, რომლებთანაც ფასი თანღათან იზრღდება და სანამ მომხმარებლობღის მიადწვეღდეს ერთი-ათათ გაძერიღდება. ასე, საქონელია თუ ორი აბაზი ღირღა, რაცა ქარხანაში მუშის ხელიღან გამოვიღა, იმავე მუშამ, რაცა იგი მიღის იმ ქუქკიან უბანში, სადაც თვითონ ცხოვრობს მეწვრიღმანე ვაქართან თავის განაკეთებ ორ-აბაზიან საქონლის საყიღლათ, ცოტა-რომ ეს-თქვათ, ორი-სამი მანეთი უნდა გაღიხადოს. ეს იმიტომ მოხღა, ჩემო მკითხველო, რომ მე-ქარხნემ თითო ცალ საქონელზე, ვსთქვათ, ეს საქონელი წალა იყო, ორი აბაზი მოიგო; ქარხნიღან გამტანმა მსხვილმა ვაქარმაც წვრილ ვაქარზე გაყიღვის ღროს ორი-აბაზი დაადო

ზეღმეტი იმ ფასს, რაც თვითონ გაღიხადა. საქონელი ექვის აბაზი გახღა. ამისგან მყიღვეღმა ვაქარმა კიღვე ორი აბაზი, და ამნაირათ სანამ ეს საქონელი იმ წვრილ მოვაქრესთან მოვიღოღა, რომელიც მუშების მიეწყებულ უბანში ვაქრობს, სამი-ოთხათ გაძერიღღა, ახლა ამანაც ერთი იმღენი მოიგო, და მყიღვეღლი დარჩა გატყავებული. ან რა ქნას ამ წვრილმა ვაქარმა თუ ძლიერ არ ასწია ფასი. იმ უბანში, მაგალითათ სადაც მე ვცხოვრობ, ოცი წვრილი მოვაქრე მაინც კი არის. თითოეული იმათგანი გატაცებულია საკუთარ ჯიბის ინტერესებით და ამასთანავე თითოეულ იმათგანს ისე ცოტა მყიღვეღლი ყავს, რომ თუ ბლომათ არ მოიგო თითოეულ მყიღვეღლზე, მისი სავაქროს სული ამოხთება. აი კიღვე მეორე მაგალითი. ერთს ჩემ ნაცნობ სოფელში ოთხასი კომლი მცხოვრები. ერთიორი სავაქრო (ღუქანი) დააკმაყოფილებს ამათ მოთხოვნიღებას და, რომ სინღისიერ ფასებში ყიღონ, ამ სავაქროების პატრონებიც ხერიღს ნახავენ. აქ კი ორის ?

ქვეყნის მოვაჭრეებს არ უშვებს რუსეთში, იმათ არ გაასაღონ და ჩვენი მოვაჭრეები ისე არ დარჩნენო... მაგრამ საქმე იმაშია, რომ გლეხის გაქირავებით რუსეთის მწარმოებელს შინაური ბაზარიც ესპობა. ჩვენ ვთქვით მცხოვრებთა უმრავლესობა რუსეთში გლეხებიაო. გლეხებს კი შიმშილით სული სძვრებათ და აბა რის გასადება შეუძლიანთ! ამგვარათ საფაბრიკო ნაწარმოებსაც მყიდველი არა ყავს. წარმოება ჩერდება. ხაზინას ფილი აღარსაიდან შესდის საკმარისად და ვალოანდება. აბა წარმოიდგინე, შესაძლებელია ასეთ პირობებში სიცოცხლის გაგრძელება სახელმწიფოსთვის? რასაკვირველია არა. მაშ საჭიროა ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზის მოძახვა. რომელია ეს გზა—ეს არის გლეხის მდგომარეობის ყოველმხრივ გაუმჯობესობა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მოთხოვნილება მიწის შესახებ განხორციელდება. —გლეხს მიეცემა მიწა და მისი დამუშავების სახსარი. სხვა გზა არ არის. მხოლოდ მაშინ გლეხი წელში გაიმართება, ფეხზე წამოიწევს. მეთურნებას გააუმჯობესებს, მოსავალი მეტი

მოუვა. გლეხს ფული გაუჩნდება და ფაბრიკაში დამზადებულ საქონელს გაასაღებს. ამით მრეწველობაც აღორძინდება—გაფართოვდება. სახელიწიფო გადასახადებიც მეტი და თავის დროზედ გადაიხდება. ერთი სიტყვით, მიეცემა სახელმწიფოს სიცოცხლის გაგრძელების საშუალება.

როგორც ხედავ, მეგობარო, მიწის საკითხი, ეს დღევანდელი მოძრაობის დედა ძარღვი არ არის მარტო გლეხთა საკითხი. ეს მთელი სახელმწიფოს საკითხია. მაშასადამე მისი მხარის აქცევა თუ შეიძლება ერთი ორი დღით—ხანგრძლივით შეუძლებელია. აქეთკენ მიცევათ ცხოვრების აუცილებლობას. რა გვარისაა სხვა მოთხოვნები ამხედ შემოეგ.

მოსული.



მეურმის სიომარა.

(დამისა.)

ქირიმე შენი ცისკარო,
მძღველო შევზნელ დამისავ,

გიერ ათი თუ თორმეტი სავაქროა. არც ერთს არა ჰყოფნის შემოსავალი. ამიტომ თუ რომელიმე იმათგანმა მყიდველი ხელში ჩაიგდო, იმის ცთაში არის სულიან-ხორციანათ გაფუქქენას იგი. მერე, საქონელსაც დამპალს, და დამძალებულს გაატანს, იმიტომ რომ ვინ იცის რამდენი ხანია უგდია იგი იმას გაუსაღებელი. ასეთ ქიშპობის გამო, რომელიც მყიდველისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, ვაჭრები სოფელშიაც და დიდ ქალაქებშიაც იძულებული არიან ათასნაირ ხრიკებს და ეშმაკობას მიმართონ, რომ მყიდველის ყურადღება თავისკენ მიიზიდონ. გამოაწყობენ ხოლმე საქონელს შუშაბანდებში, ეპატყებიან გამეღელგამომღელელს, „მობრძანდით ბატონო, მობრძანდითო“, უღმერთოდ სტყუვიან, თითქოს დაჯიბრებულან ვინ უფრო მოხერხებულია ტყუილის თქმაშიო, ვითომ საქონლის გაიაფებით აპირებენ მყიდველის გულის მოგებას და დამპალს, დაობებულ საქონელს კი აჩრიათ ხელში. ან რა ქნან რომ ასეთ ლათაიებს არ მიმართონ. ვაჭრების რიცხვი დღეს საშინლათ

დიდია და თან გასაკვირველ სისწრაფით მატულობს. საფრანგეთში, მაგალითად, ერთი მეცნიერის (შარლ ჟიდი) გამოანგარიშებით ყოველ ცხრა კაცზე ერთი ვაჭარი მოდის. რა თქმა უნდა, როცა ამ პირობებში ვაჭარი თავის ჯიბით არის მხოლოდ დაინტერესებული, გასატყავებლათ არ დაიზოგავს მყიდველს. და არც ზოგავს: წელზე ფეხს იდგამენ მყიდველის მოსატყუილებლათ. ქალაქებში გულუბრყილო მყიდველს გული უტოკდება ხოლმე მალაზიების წინ გავლის დროს, ისე კოხტათ და კეკლუცათ არის საქონელი შუშაბანდში გამოწყობილი და ელექტრონით ათასფრათ განათებულ—გაჩირადღებულნი. ახლა გახეთებში რა ნაირათ აქებენ თავის საქონელს ეს ვაჭბატონები! გაჯერებენ, რომ ჩალის ფასათ ოქროს საქონელს იძლევიან და სხვ. და სხვა. რა თქმა უნდა ყველა ეს ხრიკები, რომელსაც რეკლამებს ეძახიან, აუარებელ ხარჯებს იწვევს. ასე მაგალითათ, ერთ ამერიკელ ვაჭარს, რომელიც შეკერილ ტანსაცმელს ყიდის, ამ რეკლამების დამწერების ჯამაგირში ყოველ

მანათბელო საშიშ გზის,
ამცილებელი ხრამისაჲ.

გზა გამიკვლიე გენაცვა,
არ გადამიჩხო კლდესედა;
არ ამიტრემლო ცოლ-შვილი,
გამიყუა ტყიდან ველსედა.

დაჰბერე ლალო ნიავო,
გულ-შეკრდზედ მიწყე ნავარდი,
მხოლოდ მძლავრად არ დამქროლო;
არ მომდო საფრთხის ქამანდი.

გამიწით ნიშავ, ნიკორავ;
ქირიმე თქვენი ქედისა,
მომძენო, მოზიარენო
გლებ-კაცის ღუბჭირ ბედისა.

არ გაგეყრებით ცოცხალი,
არც ღონიში, არც გასაქირში;
თქვენთან მოგვედები ნაღვლიან
მკენესარ ურმულის ძახილში.

გ. ქუჩიშვილი.



წლიურათ სამიათას სამასი თუმანი (33000 მ.)
ეხარჯება თურმე. შვეიცარიის ერთ ქალაქში
(ციურხიში) ას ორმოცდა ათი ათისი მცხოვ-
რებია, რომელნიც ოცდა ათი ათას ოჯახს
შეადგენენ, აქაური ვაჭრები შეიდას სამოც
ათას მანეთს მარტო რეკლამებზე და სხვა
თვალის ასახვევ ეშმაკობაში ხარჯავენ თურმე,
რაა, მყიდველი თავის მალაზიაში შეიყუთი-
ლონ. მერე ამ ხარჯებს ვაჭარი, ხომ წყალში
არ გადაყრის! ამასაც რა თქმა უნდა საქონე-
ლზე გააწერს და მისგან მოტყუილებულ
მყიდველს გადახადევენებს თანაც მდარე
საქონელს გაატანს. დასახელებულ შვეიცარი-
ის ქალაქში, მაგალითათ, თითოეულ ოჯახს
ოცდახუთი მანეთი ვაჭრების გამოგონილ რე-
კლამა-ონებში ეხარჯება. რათ ესაქიროება
ყველა ეს ლათაიები მყიდველს, განა მან თვი-
თონ უკეთ არ იცის რის ყიდვა უნდა ან სად
იყიდოს? მაგრამ ვაჭარს თავისი ინტერესი
აწუხებს. საზოგადოთ დღევანდელ ცხოვრების
პირობების და კერძოთ აღებაშიცემობის (ვაჭ-
რობის) მოუწყობლობის გამო ვაჭარი ცუდ

მართობა სპარსეთში.

(გაგრძელება)

აწ უკვე სახელგანთქმული თავრიზი თავ-
განწირვით განაგრძობს ბრძოლას შახის მარ-
თვა-გამგეობის წინააღმდეგ. სჩანს, თავრიზის
მებრძოლთა სიტყვები სანამ ცოცხლები
ვართ იარაღს არ დავყრით, სახალხო საქმეს არ
ვუღალატებთო—მტკიცეა და შეუდრეკელი.
თითქმის ორ თვეზე მეტია, რაც სპარსეთის
ეს ქალაქი თოფის წამლის ბოლშია გახვეული,
მუდამ დღე ტყვიების ზუზუნი და ზარბაზნების
ქუხილი გაისმის, მაგრამ სპარსეთის ახალთაობა
წარბებსაც არ იხრის, მაშინ როდესაც შახის
პარტიამ არა ერთხელ მისცა წინადადება ახალ-
თაობის მეთაურს სათარ.ხანს, შეერიგდეთო.
ახალთაობას კარგათ ესმის, თუ რა მნიშვნე-
ლობა უნდა ქონდეს სინდის გარეცხილ, გარ-
ყენილ და სხვისი ნაოფლარით გამაძღარ შახის
მომხრებების პატიოსან სიტყვას და ამიტომ იგი
ძლიერ სიფრთხილით ეკიდება მათს ასეთს წინა-
დადებას. ბევრჯერ მოუვიდათ ორივე მოპირ-
დაპირეს პირისპირ შეტაკება და ზედ მისვლა
ერთმანეთზე, მაგრამ სათარ-ხანი ყოველთვის

მდგომარეობა მია ჩაყენებული და თავის ვაებას
იგი მყიდველს ახვევს თავზე. ვაჭრები პირად
მოგებისათვის ერთი-მეორეს ექიშვებიან, უღა-
ნაშაულო მყიდველი კი იჩაგრება.

უმთავრესი ნაწილი იმ ხარჯის, რომელსაც
ჩვენ ამა თუ იმ საქირო საქონლის შექმ-
ნისათვის ვიხდით, ამ ნაირათ ვაჭრის ჯიბე-
ში გადადის; საქონლის ფასის სამი მეოთხედი
იმ პირთ მიაქვთ, რომელნიც ქარხანაში
დამზადებულ საქონელს ჩვენ გვაწვდიან.
ჩვენც მათ გვერდს ვერ უვლით და ამნაირად
მოკლე შემოსავლის ბატონ-პატრონი ვაჭარი
ხდება.

ცხადია, მაშინ რომ შეგვეძლოს როგორმე
მათ გვერდით აუაროთ, ჩვენ ყველა ამ ჩვენ-
თვის გამოუხადევარ და უსაფუძვლო ხარჯებ-
საც გვერდს აუვლიდით და საქონელსაც უფ-
რო იაფათ შევიძინდით.

(შემდეგი იქნება).

გამარჯვებული გამოვიდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ბრძოლას, როცა შახის პარტიამ გაიმარჯვა, ერთი ზარბაზანიც კი წაართვა ახალთაობას, მაგრამ უკანასკნელმა მეორე დღესვე მიიტანა იერიში მსუნავთა ბუნავზე, კუღით ქვა ასროლინა მათ და უკანვე დაიბრუნა თავისი ზარბაზანი.

სხვამ რომ არაფერი უშველა შახის პარტიას, მისმა კაცებმა ხმა დაჰყარეს—ჩქარა სატახტო ქალაქ თეირანიდან დიდძალ ჯარს გამოგვიგზავნის ჩვენი შახი და მაშინ ნახეთ ახალთაობის კაცების თამაშიო, წინათ ბევრსა სჯეროდა, ალბათ მართალი იქნება ეს ხმებიო, მაგრამ ძლიერ მოსტყუდნენ. შახმა, მართალია, გამოგზავნა თვისი სამხედრო მინისტრი, მაგრამ მას თან მოჰყვა ოცი-ოცდაათიოდე მცველი და ისიც, გაიგეს თუარა ახალთაობის ბანაკში, სამხედრო მინისტრი მოახლოვებულაო, მაშინვე გამოაწყვეს საუკეთესო ბიჭების რაზმი, რომელიც თავრიზთან ახლოს ჩავსაფრა ამ მინისტრს, და როგორც რუსეთის გაზეთებში სწერია, ტყვეთ წაუყვანიათ კიდევ. შახი ძლიერ ცუდ გუნებაზეა თურმე. მას ეგონა, რადგან თეირანში ხალხის კაცების კრება გავრეკე, კრების შენობა ზარბაზნებით გავანადგურე; ბევრი ხალხის მხარეს მებრძოლი და ჩემიწყესების შეურთგებელი მტერი ჩამოვახრჩე, ბევრი დავხვრიტე ან სატუსალოში ჩავსვი, ან სამშობლოდან გავაძევე—ახალთაობის ქაქანებაც კი მოვსპეო. მაგრამ თავრიზის ზის ამბები ნემსებივით სჩხვლტავს მის გულს და ყოველ წუთს იმას მისძახის, რომ გამარჯვების დღესასწაული, ლხინი და ქეიფი ჯერ ნაადრევიაო. და განა მარტო თავრიზია მისი ძილის დამფრთხობი? სხვა ქალაქებიდანაც და სოფლებიდანაც ამბები მოდის, ხალხი იარაღს ისხამს და შურის საძიებლათ ემზადებაო. თავრიზთან ახლო ერთი სოფელია, იქაური გლეხები ორ პარტიათაა თურმე გაყოფილი—ერთი, უფრო შეძლებული ნაწილი შახისა და სამღვდლოების ბატონობის მომხრეა, მეორე, უფრო ღარიბები და ულუკმაპურონი ახალ თაობის მხარეზე არიან. ამ ორ მოპირდაპირეს შორის ხშირია შეტაკება და სისხლის ღვრაც კი, მეტადრე, როცა ახალზე და ძველ წესებზე მივა საქმე. ანნაირივე ამბე-

ბია თურმე ბევრ სხვა სოფლებშიც. ზოგან მალულათ, ზოგან ძლიერ აშკარათ.

შესანიშნავი ერთგულებით უელის ახალთაობა ქ. თავრიზსა და მის მცხოვრებლებს. ჩვენმა მკითხველებმა ძლიერ კარგათ იციან, ალბათ, რანაირ კაცს ქვია „შანტაისტი“ და ხულიგანი. მათ ჯერაც არ დავიწყებიათ ის შეგბენელი დღეები, რომლებიც მათ მიაყენეს და დღესაც ბევრგან აყენებენ ხოლმე, რაზმელებმა, რომელთაც ხალხის სამსახურით დაიწყეს და მის დაუძინებელ მტარვალებათ კი გადიქცენ ბოლო ხანს, როცა მთავრობის მართანი დატრიალდა სოფლათ წინანდელი ძმობაერთობის ადგილას. ანნაირი დროებითი ხასითის მოვლენები აუცილებლათ მოსდევს ხალხის გამოღვიძებისა და ერთობისთვის თავგანწირვით ბრძოლას. სწორეთ თავრიზის ერთობასაც ეს შავი ძალები სცხებენ ჩირქს. იქაც ძლიერ გახშირდა მუქარით ფულის გამორთმევა, წერილების მიგდება და ათასი სხვა საზიზღრობა. ყველაფერს შავი ძალები, რა თქმა უნდა, ახალთაობას სახელით სჩადიან. რუსეთის მთავრობის დეპეშებში პირდაპირ სწერია,—თავრიზში ერთობის კაცები ფულებს სტაცებენ, ძარცვა-გლეჯას ეწევიანო. ასე იციან ხოლმე ხალხის მტრებმა, ოღონდ საბაბი კი იშოვნონ და მაშინვე განგაშს ასტეხენ, ახალთაობამ დაგვლუბა, ჰკა მაგასო. რა თქმა უნდა თავრიზის ახალთაობა გულ-გრილათ ვერ უყურებდა მისი წმინდა სახელის ასე შელახვას და მისმა ბელადმა, სათარ-ხანმა საგანგებო რაზმი გამოაწყო შანტაისტებისა და ნაძირალების ასალაგმავათ. ეს რაზმი დადის ქალაქის ქუჩებშია და თუ ვინმეს მოასწრო ამისთანა ვაყბატონთავანს, იქერს და ახალთაობის უზნებში მიჰყავს, საცა მათ შესაფერ სასჯელს აყენებენ. მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო და გამამხნევებელია ჩვენთვის, ის გარემოება, რომ ახალთაობა ზეზეურათ როდი ეკიდება საქმეს, ის მოძრაობის მარტო ერთი მხარით მთავრობასთან ბრძოლით—როდი კმაყოფილდება, ის უფრო აფართოებს თავის მოქმედებას და ცხოვრების არც ერთ მხარეს არ სტოვებს უყურადღებოთა და უზასუხოთ. საქმე ისაა, რომ ამდენი ხნის გაბმულმა ბრძოლამ მთლათ გამოლია ქალაქში სანოვაგე-სურსათი და მე-

ტადრე პური. ქალაქის ღარიბი მცხოვრებლების მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. წინათ, როცა ცხოვრება თავის ჩვეულებრივ კალაპოტში იყო, იმათ როგორც იყო თავი გამოქონდათ. ახლა კი უპურობის მუხრუჭი ერთავდა მათ გაეჭირათ სხეულში. გაზეთებში აწერილი იყო ის საშინელი სურათი, რომელსაც თავრიზის ქუჩებში ნახავდა კაცი: აგერ თვალზე მიბნედილი დედა, პაწაწა ბაღლით ხელში, მიგდებული ქუჩის პირათ და გულის გამგვირავათ კენესის, აგერ პატარა ბავშვები, ერთად შეჯ-

გუფულნი, ტირილითა და ვაის ძახილით მივარდებიან გამვლელ-გამომვლელთ და პურსა სთხოვენ; იქ ღონე-მიხილი, წაქცეულა ვილაც, ეტყობა, რამდენიმე დღეა უქმელია. შეიძლებადა განა ამნაირი სურათის შემხედვარე თავრიზის ახალთაობა გულ-ხელ დაკრფილი ყოფილიყო და საჭირო ზომები არ მიეღო?... მაგრამ ამ ზომებზედ შემდეგ.

ხალხის შვილი.



მუშეობის და გლეხების წერილები.

მუშის წერილი გლეხთან.

I.

მას შემდეგ რაც მე სოფელს დავმორდი და წამოველ ქალაქში ბევრი ცვლილება მოხდა ჩემს ცხოვრებაში...

თქვენ კარგათ იცით, რომ მე ფიქრათაც არ მომიღოდა მიმეტოვებინა მშენი მინდორ ველები; ვენახ-ბაღები და სოფლის დამატებობელი ბუნება. ჩემი ნიკორა კამეჩი და ლაბა მოზვერი მე მთელ ქვეყანას მერჩივნა. ისენი იყვნენ ჩემი სიცოცხლის თანამოზიარენი ჩემთან მყოფნი ქირშიც და ღებნიშიც, მაგრამ სასტიკმა ცხოვრებამ არ დამინდო. ზედ შემდეგ და მიწასთან გამასწორა ჩემი მაცხოვრებელი ნიკორა და ლაბა მოვალემ წაიყვანა, ჩემი ერთი მუქა სახნავი ჩარჩმა კარაბეტამ გამოიყიდა. დავრჩი ცარიელი, უიარაღოთ იმისთანა უღომობელ მტერთან ბრძოლაში, როგორც არის შიმშილი. სწორეთ ეს (სიმშილი) იყო, რომ მომიჭირა თვისი სასტიკი ბრძკალები და მაიძულა გავქცეოდი სოფელს.

ჩამოველ ქალაქში და აქ შევეუდექი ლუკმა პურის ძებნას. აქაც ჩვენთანები გაქირვებულ ცხოვრებას ატარებენ. აქაც იგივე უსამართლობას შევივჯახე. უყურებ ამ უზარმაზარ სახლებს, ხავერდებით და აბრეშუმ-ფარჩეულებით სავეე მალაზიებს და გული ბრაზით მეცხება, რომ იქ ისინი ტყვილათ აწყვიან და ამოდენა მშვიერ-ტიტველი და უსახლკარო ხალხი გარს გვანვევია...

მაგრამ თუმცა გაქირვება იმდენათ არ შემისუბუქდა მაინც სხვაფრივ ბევრი რამ შემმატა ქალაქმა. აქ ამეხილა მე პირველათ თვალები და დავინახე სად არის ჩვენი შიმშილის და უბედურების მიზეზი.

აქ მრავალი სხვაც სოფლებიდან გამოქცეული ჩემსავით მუშები, რომლებიც ქმნიან ქალაქის სიმდიდრეს, მიხვედრილან ამ ქვეყნის უკუღმართობაში და დაუწყვიათ ბრძოლა თავიანთი მტარეალების წინააღმდეგ.

ისინი მიხვედრილან, რომ უსამართლოთ ჩაუგდიათ ხელში მთელი ქვეყნის სიმდიდრე მიწა, წყალი, ფაბრიკა-ზავოდები რკინის გზები შკოლები და სხვა იმათ, ვინც მუქთახორობის მეტს არას აკეთებენ, არაფერ ღირებულებას არა ქმნიან და თავიანთ გემოვნებაზედ მოუწყვიათ ყველაფერი.

მიხვედრილან და სცდილობენ ქალაქის მუშები გაინთავისულონ თავი ამ მონომისაგან, მოსპონ უსამართლობა. მუშები თხოულობენ, ყველამ იზრომოს და ყველა თავის შრომით ცხოვრობდესო მიწა უნდა მიეცეს იმას, ვინც მუშაობს მიწაზედ. ფაბრიკა ზავოდები—ვინც ააშენა ისინი და ვინც მუშაობს შიგაო. ასეთი პლანი აქვთ მუშებს შემუშავებული, ასე უნდათ მოაწყონ ცხოვრება. მეც ეს მომიწონა და იმათ მივუამხანავდი. მაგრამ ძველი წესწყობილების მომხრენი, რომელთაც თავიანთთვის კარგათ მოუწყვიათ ცხოვრება, მტრულის თვალით უცქერიან და ებრძვიან ამ ახალ

სამართლიან წეს-წყობილებს მომხრეებს— მუშებს.

ან კი რატო არ შეებრძოლეთიან, დღეს განცხრომაში არიან და თუ მუშებმა მოიგეს საქმე მაშინ ყველაფერი ეს მოესპობათ.

მაგრამ მაინც ჩვენი საქმე, როგორც ვხედავ, კარგათ წავა, თუ კი ყველა მუშები შეიგნებენ დღევანდელ უსამართლობას.

ნამეტნავათ გვიან იღვიძებენ სოფლის მუშები და ეს აფერხებსასაქმეს. რომ ეს დაბრკოლება თავიდან ავიცილინოთ საჭიროა მეტი მეცადინეობა, დაკვირვება ცხოვრებისა. სასარგებლო წიგნების და გაზეთების კითხვა და სხვა. მე საკუთარმა გამოცდილებამ დაპარწმუნა, რომ არავის იმედი არ უნდა გვქონდეს, გარდა ჩვენი თავისა. ქალაქის და სოფლის მუშა—აი ვინ უნდა დაანგრიოს უსამართლობა და ძალმომრეობა.

მუშების განთავისუფლება მუშების ხელით უნდა მოხდესო, სთქვა ერთმა ხალხისთვის თავდადებულმა კაცმა და ეს სრული ქეშმარიტებაა. ეს ქეშმარიტება შეუგნიათ მუშებს, რაც შეიძლება ჩქარა უნდა შევიგნოთ გლეხებმაც; მაშინ მუშები და გლეხები ხელი ხელ ჩაკიდებულნი გასწევენ წინ და დღე ვისაც უნდა წინ გადაეღობოს.

სოსო.

II

გულით და სულით მოწადინებული ვარ ჩემი აზრები თქვენც გაგზიაროთ, მაგრამ მღალატობს ეს ოხერი უსწავლელობა და უცოდინარობა. ჩვენ, უსწავლელ გლეხებს და გლეხის შვილებს, რა თქმა უნდა ალაგს არ დაგვითმობენ დიდ გაზეთებში, რადგან ლამაზად, მწყობრად ვერ გამოვსთქვამთ ჩვენ, ჩვენს აზრს. გაზეთი „ახალშენი“ კი გლეხებს და მუშებს გვპირდება საშუალებას მოგცემთ თქვენ თქვენი აზრები ერთმანეთს გაუზიაროთო და მეც ამან მომცა გამხედლობა. ეს ჩვენი გაზეთები არ ვიცი რათ გაუბზიან მღაბიო ენაზე წერას, ალბათ უნდათ თავიანთი ქიკიკით თვითონვე დასტკბენ. მე, თუმც წერა კითხვა ვიცი, მაინც გაზეთში ნაწერი რაღაც გაუგებრათ მეჩვენებინან. ალბათ თქვენც ჩემსავით გემართებათ.


მე, უსწავლელი გლეხის შვილი ვარ. დღევანდელ უკულმართ ცხოვრების ტალღებს ხან ქალაქისკენ მივყევარ და ხან სოფლისაკენ; ხან ქარხანაში ვყიდი ჩემს სამუშაო ძალას და ხან სოფელში, და ამგვარად გაქვირებული მივჩანჩალებ ცხოვრებას. არსიდან არავითარი იმედი, დახმარება, ჩემთვის არ არსებობს, გარდა დაცინვისა და ცილისწამებისა. დიახ დაცინვისა, შეიძლება ბევრმა აქაც დამცინოს ამ წერილზე, მაგრამ რა იქნება. დღე დაგვცინონ იქნება ამან უფრო გამოაღვიძოს ჩვენში ადამიანობა თავ-მოყვარეობა და შეგვაგნებინოს ცოდნის შეძენის აუცილებლობა. სწავლას ბევრი რამე შესძლება, სწავლა გვიხელს თვალებს და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გარშემო ცხოვრებაზედ. დღეს ყველაზედ უფრო საჭიროა შეგნება რომ კაცმა გზა გაიკვილოს ცხოვრებაში.

დღეს გამეფებულია საშინელი ქორიკანობა, როგორც პარტიებშორის ისთე სხვა და სხვა პიროვნებების—და არვინ არ ფიქრობს, იმას რომ ასეთი ქორიკანობით ხალხს გზა-კვალს უზნევენ. დღეს გლეხი ვისთან მივიდეს და ვის დაუმეგობრდეს აღარ იცის, ყველა უძახის შენი ამხანაგი და მეგობარი ვარო. სიტყვით ყველანი ამხანაგები და მეგობრები არიან და როცა ჯერი საქმეზე მივა, მაშინ კი შორს გარბიან და გლეხები აღარ ახსოვთ. ავიღოთ დღევანდელი მაგალითები: როდესაც რეაქციამ გაიმარჯვა, და ჩვენი „ერთობა“ დაიშალა, გამოდიან არა მკითხველ ვაჟბატონები და ცხოვრების ხორცმეტები და გაიძახიან: თქვენ გლეხებო, ახალთაობამ დაგაქციათო, თქვენი მტერი ახალი თაობა არისო, ისინია დამნაშავენი, რომ თქვენ სახლებს და სარჩო-საბადებელს ცეცხლს ატანენო. ასეთი სიტყვებით მიმართვენ დღეს გლეხებს ის ვაჟბატონები, რომლებიც ოდესმე, ე. ი. თავისუფლების ღროს „გაუმარჯოს ერთობასო“ იძახდნენ და ამხანაგოს ძახილით არ გვასვენებდნენ. საჭიროა ჩვენ თვითონ იმდენი შეგვეძლოს რომ დავვიქრდეთ ამაზე და გამოვიკვლიოთ თუ რისი და ვისი ბრალია ჩვენი ასეთი გაქირვება, და აკლება-აწიოკება. მე ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ აქ ერთობა არაფერ შუაშია, ამის მიხეზი ერთობის მტრები არიან. ეს როცა შევიგნე მე ეკვი დამება-

და, იქნება ვცდები მეტქი, მაგრამ რაც უფრო მეტსა ვფიქრობ მით უფრო მეტით ვრწმუნდები, რომ სწორეთ ერთობაშია ჩვენი ხსნა. ნეტავ თქვენ რაღას ფიქრობთ იმაზე გლახებო?

თქვენთან კირში და ლხინში ერთად მყოფი მუშა

პროკოფი გლახიშვილი.



სოფლიათ.

(ჩვენში.)

—:—

ილაზნის ბაღმა რაიონი (სიღ. მახრა). ამ რამდენიმე წლის წინათ აქ მოსახლის ჩასახიც კი არ იყო. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი იმერეთის ხელ მოკლე გლეხკაცობამ დაიწყო გადმოსახლება და გააშენა სოფლები. მცხეთა-რეთის რიცხვი ესეა 1500 კამლაძე ადის.

დაუდგათ „ოქროს ხანა“ ჩვენ კავატრებულ თავად აზნაურობას. დღემდის თუ ამ ადგილების უმეტესი ნაწილი მათთვის გამოუსადეგარი იყო, დღეს ფასი დაედო. შემამულები აღარ იბრძლებენ თვითღრემიან გლეხებს, რადგან კარგათ იცან, რომ მათ უკანვე (იმერეთში) დაბრუნება არ შეუძლიანთ, ყინაიდგან თუ რამ გაჩნდათ მიყიდ-მოყიდეს და უნდა იძულებულები არიან შესარულდონ შემამულებთა ყოველგვარი მოთხოვნაგებასი.

გლეხების დაქსაქსულმა მოქმედებამ მიწები ერთი ორად გააძვირა. გლეხები ერთმანეთს შეტოქობას უწყვენ და ამ „ტორგით“ თავადებს ჯობებებს უმსებენ. აი მაგალითებიც: ზირველ წელს დესეტინა მიწა 28 მანეთით იყიდებოდა და ესეა კი 100 მ. ავიდა. ყველა ამ ფასებს გლეხები სავლახო ბანკის იმედით სწყვეტდნენ და ბ. შემამულეს ყველაფერზედ უთანხმობდნენ. ეგონათ, რომ სავლახო ბანკი იმიტომ არის გამოგონილი, რომ გლეხების მძიმე ტვირთი შეამსუბუქოს. დღეს კი სულ წინააღმდეგს ხედავენ. გამოცდილებამ დაანახვა გლეხებს, რომ ბანკი ფეოდალებს უფრო უწყობს ხელს, ვინემ გლეხებს, იმით, რომ მიწების ფასს ერთი-ორათ მალდა სწყევს.

გადმოსახლებულთ ის უფრო ადვილთ სიმწარეში, რომ აქაური ადგილი ჭკაბიანია და ჭყავ ვერ შეუთვისებიათ. რის წყალობითაც ბევრი სიციცხ-

ლით სახსე ახალგაზღობა გამოეხსლება წუთისოფელს და ბევრიც დღითი დღე მოეღოს.

ამ ცოტა ხანში აქ ჩამობანდნენ და გლეხებსავით თითოერთდა დესეტინა მიწაზე დასახლდნენ გადატაკებული აზნაურები. გლეხებს დიდი მოთქმამოთქმა ჭქონდათ ამ გაუბატონების მიღებაზედ, მაშინ მათ მოამკვლარუნეს თავები და გლეხებს ძიბასს ეფიცებოდნენ. მაგრამ დადგა დრო, როცა გზები, კაკლესია, სკოლა და კანცელარია უნდა შეეკეთებინათ. ამ დროს კი აზნაურებმა გაიგონდეს ცხვირები და გაიძახოდნენ: „ჩვენ“ „მუშეიკები არ ვართ“. ზრისტყას, მასარის უფროსს, გუბერნატორს თხოვნას თხოვნაზე აძლევდნენ: გლეხები გვამსახურეო. უკეთესი იქნებოდა მათთვის (აზნაურებისთვის) რომ ძველი წოდებრივი უფლება უზიარტესობანი დაეგვიწყებიათ და, როგორც კონომიურათ გადატაკებულნი გლეხებსავით, ამავე გლეხკაცებს ამდგომოდენ მხარში და მათთან ერთათ გაქვათ ცხოვრების უფელი. დაბოდოს, რადგან ხმები დადის, რომ იმერეთიდან ბევრი აზირობს აქ გადმოსახლებას, ამიტომ მათ სეურადლებით უნდა აღვნიშნათ, რომ აქ ადგილები ჯერ ერთი არ იშოგება, მეორე ისე ძვირია, რომ მისი შეძენა ასე ადვილი არ არის და შესამეტ ის, რომ ჭყარი და წყალი სრულებით უგარვისია.

„განელი ბაგრატი.“

ლანჩხუთი (ტურია). ეს საში თვეა ჩვენ სოფელში ცვარი წვიმა არ ჩამოგარდნილა და ჭირნახული თითქმის სულ ამოხმა. მაგრამ დახეთ უბედურებს, უწყვიტობასაც კი ახალ-თაობას აბრალევენ ზოგიერთი ნაძირალები. აი მაგალითიც: დიკანი იგ. ცინცაძე და კამხანია მისი ეწყვიან ატიტანის: დაგვლუნა ახალ-თაობამ, რომ ხედავთ, ღმერთი გაწერა, არ მოდის წვიმა; საჭიროა შეუსწიროთ ცხვარი, თორემ დავადუნებით—ღმერთი აღარ გაწვიმებსო. ასეთი სიტყვებით მიმართავდა მ. დიკანი და კამხანია მისი ხალხს. იმათმა სიტყვებმა გაგლენა იქონია ზოგიერთებში და დაიწყეს ფულების კრეფა. დადიოდნენ ოჯახ-ოჯახ და თხოულობდნენ ფულს, მართალია უმეტესობა გულ-გრილათ უფურება, მაგრამ ფულს მაინც აძლევდნენ. მ. დიკანი შემდეგს ზირდებოდა ხალხს: როგორც შეესწიარათ ცხვარს, ნახევარ საათში წამოვა წვიმაო. შეგაროვეს რამდენიმე მანეთი იყიდეს ცხვარი და 26 ივლისს დადიან

კარგათ იქეიფებს წირვაცედ, მაგრამ დაზირებს არ გამართლდა, აი უკვე ოთხი დღე გავიდა და წვიმა არ მოდის.

ჩვენ სოფელი ძალიან ჩამორჩენილია გონებრივად; არც ბიბლიოთეკა-სამკუთხელო, არც სხვა რამე დავსრულებთ, რომლიდანაც შეიძლება გონებრივად და სხვაგვარად შეიძინოს რამე ადამიანმა არ მოიხრება. აქ მსოფლიო დაინახვით ბიბლიოთეკის შექმნას, რომელშიც ცხოვრობენ გორდობები; თუმცა კარგა ხანია აჩვენებენ არიან გამკვირვებულნი, ბიბლიოთეკის მოსაწყობათ, ნება-რთუის ასაკებზე და სხვა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი სხანს. როგორც გავიგე ამ ბოლო ხანს ნება-რთუის უკვე აუღიან, მაგრამ უფულობის გამო კვლავ შეჩერებულია. საჭიროა მოაწვიონ კრება და გააკვირონ საზოგადოებას საქმის შედეგობა.

მუშა.

ს. ლამის ყანა (გორის მაზრა). 13 აგვისტოს აქ მოკლეს დუშეთის მაზრაში ცნობილი ყანადი სვიმონა ოსიშვილი. საათის ოთხი იქნებოდა, რომ საშინელი თოფისა და რეფლუვების სროლის ხმა გაისმა მუხტანე ერისთავის კალთზე. ხალხი სროლის ხმაზე ზოგი სხვებში შეიშალა, ზოგიც ვეანხებში, რადგან არ იცოდნენ საქმე რაში იყო. ეგონათ სოფელს ბოლიცა დაესხათ თავზე და ისინი ისერანო. როცა ეგულაფერი მიწინარდა, მივიღწენ რამდენიმე კაცი იქ, სადაც სროლის ხმა ისროდა, ნახეს ხსენებული ზირი მკვლარი რამდენიმე ტყვიით და მკვლელი კი აღარსად სხანდა. მოკლულს ხელში ეჭირა შატარა ბარათი, რომელიც ზიზღით იხსენიებდა მკვლარს: „შე ბილწო, რათ არ იცოდი რომ შეგჩნებოდა ღარბი ხალხის ზოცვა, ფულის წართმევა და და-

წითკება, ქალების მოტაცება და სხვა და სხვა საზიზღარი მოქმედება“—ეწერა ბარათში. ხალხი ძალიან გახარებულია, იქნება ესაინდ მთავარ-გენთათ. მართლაც ძალიან აწუხებდა ხალხს, სოციალად სრულიად უდანაშაულებს; როგორც ამოკენ 18 კაცამდე ეუფლებს მკაღარო. თითქმის ოც კომლამდე კიდევ სოფლიდან გაძევებულან ლაპახობით მისი შიშით.

ს. წილკანი (დუშეთის მაზრა). ამ ბოლო დროს ხალხის ერთი ნაწილი სხვებრივად ეცემს და ზნე ჩვეულებაც რადაც უგულვებდა: ჩხუბი, ქურდობა, ვანახების და ბოსტნეულობის გაღატაკა, სხვების დაწვა დღეს ხშირი მოკლენია. საჭიროა, ერთმა ვინმე ჩაიდინოს ასეთი ავანახობა, შემდეგ იწიკება მურისძიება, მეტე მურის ძიებაზედ შეურისძიება და ასე მისდევს გაუთავებელივ.

საკვირველია, რომ ერთობის დროს ამისთანს ვერაფერს ნახავდით სოფლად. ნეტავ სდ იმალეობდა იმ დროს ასეთი ბოროტება.

ამ რამდენიმე ხანში მოხდა, მკვლავითად, შემდეგი ამბები: დიაკონიშვილს დაუწვეს საბიქლი, დიმიტრი ჩილინდრაიშვილს ბოსტნეულობა გაუგლიჯეს, სოლომონ ქავთარაძე მოკლეს და სხვა. თუმცა დიდი ხანია სოფლები სულ გამწარებული არიან ამ ცხოვრების ხაძირალებიდან, მაგრამ რას ვიზამთ, ჩვენ დანაც არავინ შეგვანახუნს და იმთკი სულ ახალ-ახალი თოფები უჭირავთ ხელში, ამიტომაც, რომ ჩვენ საცხოვრებელს ხელიდან გვტაცებენ.

არც მარტო რიგით მოსავლეს უჩანს ზირი ასე, რომ წარსული წლის შიშოდეს ვტიროდით და მომავალი უფრო მწარეთ სატირელი გვიხდება.

მოგზაური გლეხი მ. რ.



საქმიანოური განყოფილება

გ ა მ ო ს ა დ მ ბ ი ც ე ო ბ ა ნ ი


ნ ა მ ო ზ ი ს ზ ი ა .

ნაყოფის ქია ძლიერ მანეთ ითვლება ბაღე-ბისათვის, სხვა მანეთ ქიები იკვებებიან ფოთ-ლებით, ეს კი მარტო ნაყოფის თესლით, ამიტომ; რაც უნდა ცოტა გამრავლდეს მინც

დიდი ზარალი მოაქვს აღამიანისათვის. ნაყოფის ქია იჩენს თავს სწორეთ იმ დროს, როდესაც მებაღე არხენად შეკურებს მთელი წლის მოსავალს. ხედავს, მისი ხეხილი დაფარულა ნაყოფით, ერთის ან ორი თვის განმავლობაში ჩაითვლის თავის ოფლის ფასს.

მაგრამ სწორედ ამ დროს სჩნდება სენი და უღებს ბოლას მთელი წლის მოსავალს. უღმერთოთ ჰყრის ძირს ყველა დაზიანებულ ნაყოფს და რაც რჩება, ისიც არ არის თავისუფალი ამ სენისაგან. ნაყოფის ქია რაქი ერთი ჩათესლება რომელსამე ბაღში, მერე ძნელად და მოისპობა. პირიქით თანდათან უფრო და უფრო მრავლდება. ასე რომ რამოდენიმე წლის შემდეგ სულ სპობს მოსავალს, თუ მის წინააღმდეგ არ ვიხმარეთ რაიმე საშუალება.

ნაყოფის ქიის პეპელას ქართლსა და კახეთში შეხვედებით აპრილის დამლევს ან მაისის პირველ რიცხვებში. ეს პეპელა ღამისაა ასე რომ ფრინავს მხოლოდ ღამით და დღისით კი ძილს მიეცემა ხოლმე. დედალი პეპელა სდებს მოყვითალო კვერცხებს, თითო ვაშლის ნაყოფზედ თითოს. ამ კვერცხებიდან 8—10 დღის შემდეგ გამოდიან პატარა-პატარა მურები ანუ ქიები. გამოსვლისთანავე მურები შედიან ნაყოფში და ბინადებიან სათესლე კოლოფის უჯრებში, სადაც იკვებებიან მხოლოდ ნაყოფის თესლით.



პირველათ ქია იმდენათ პატარა არის, რომ იმის შენავალი ხვრელი მალე ხორცდება; დაზიანებულ ნაყოფს სრულებით არ ეტყობა დაზიანება. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ქია აკეთებს მეორე ხვრელს რომ გამოყაროს განავალი. როდესაც ქია შესქამს ნაყოფის თესლს გამოდის ნაყოფიდან. ხშირად მოხდება ხოლმე რომ ქია ვერ ასწრობს გამოსვლას რადგანაც ნაყოფი ძირს ვარდება. ქიამ თუ მოასწრო ნაყოფის შექმა გამოდის ნაყოფიდან, გადადის დაუზიანებელ ნაყოფზე და იკეთებს რამე საფარს. ასეთი ფარული ადგილიდან იწყებს ახალი ნაყოფის ხვრეტას, ვინც კარგად დაუკვირდება ასეთ შემთხვევასაც ნახავს: ქიას ნაყოფთან ახლო მყოფი ფოთოლი მიუტარავს ძა-

ფით, რომელსაც პირიდან უშვებს, ნაყოფზედ, რომ დაზიანებული ნაყოფი ძირს არ ჩამოვარდეს.



ნაყოფის ქიის მური ზრდას ასრულებს 4—5 კვირის განმავლობაში. ზრდის დასრულების შემდეგ ქია გამოდის და ეძებს ფარულ ადგილს, რომელსაც პოულობს ხის ქერქში, ჩამონათალ ადგილებში გამსკდარ ქერქში და სხვ. და აკეთებს პარკს, რომელსაც ჰფარავს მწებავ ნივთიერებას ეკვრება ყველა პატარა ნივთიერება, რომელიც სრულებით მალავს პარკს.

მური პატარაობისას თეთრია, როცა ცოტათი მოიზრდება ვარდის ფერი ხდება. ტანზედ აყრია მას რუხი მქექვები, ერთი ან ორი ბუსუსით. თავი და ქოჩორი მუქი წითელი ფერისა აქვს. ნაყოფის ქიას აქვს თექვსმეტი ფეხი, სიგძით ნახევარი გოჯია. ზამთარს ატარებს თავის პარკში. ვახაცხულზედ, 2—3 კვირის წინეთ პარკიდან გამოსვლიმდის იქცევა ყაქად. ყაქი მუქი ფერისაა, ბოლოში თავ-მოკაუჭებული ბუსუსი აქვს, რომლის შემწეობითაც ეკვრის თავის ბინას.

პეპელა სიგძით ერთი მეოხედია გოჯისა და წინა ფრთები მოგრძო აქვს, ფერი რუხი. ტანზედ მუქი დაკლანჯული ზოლები გადასდის.

ჩვენში ნაყოფის ქიის გამრავლებას ძლიერ ხელს უწყობს დაზიანებული ნაყოფის შეუფროვლობა და მისი ხის ქვეშ დაღობა. თუკი დაქიანებული ნაყოფი ქიის გამოსვლამდის ძირს ჩამოვარდა, მასში მყოფი ქია გამოდის მიწაზედ, პოულობს ნაფოტს, ხის ქერქს, ფოთოლს ან რომელსამე ნივთიერებას და იქ იქცევა პარკათ. ამიტომ საჭიროა დაცვივნული და ქიანი ნაყოფი შეგროვდეს. მათ ახლო ხმელი ხის ტყავი დაიყაროს რომ ნაყოფიდან გამომძვრალმა ქიამ იქვე მოიკალათოს. ამ რიგათ შეგვიძლიან მთელი წლის ნაყოფის ქიების პარკები ერთ ადგილას ვიქონიოთ. შემოდგომის დამლევს, როცა ყველა ქიები პარ-

კებათ იქცევიან. გროვასთან მყოფი ყოველივე ხმელი ნივთიერება უნდა შევავაროვოთ და დავსწავთ.

ურიგო არ იქნება შვედროვილი ქიანი ნაყოფიდან ჩირი გაკეთდეს, იმიტომ რომ ამისთანა ნაყოფში იმყოფება სრულებით გაზრდილი ქიები და თუ ჩირათ გავაკეთებთ დაქიანებულ ნაყოფს იმ შემთხვევაში ადვილათ დავხოცთ ქიასაც და თანაც თითქმის უვარგისს ნაყოფს მოვიხმარებთ.

ნაყოფის ქიის მოსასპობლათ ხმარობენ კირის სითხეს, რომელიც აშორებს ხეხილს ქიების გარდა კიდევ წვრილფეხ ცხოველებს. შემოდგომაზე უნდა შეიღებოს ხის ტანი ამ სითხით გალესვის წინეთ ხე უნდა გასუფთავდეს ხმელი ტყავიდან და ხავსიდან. წვიმიან დღეში გალესვა არ შეიძლება, რადგანაც ხეს კირი სცვივა. კირ-წყალს სხვა მძიმე ნივთიერება არ უნდა ერიოს. კირის სითხეს უნდა აერიოს ცოტაოდენი სისხლის, ძაღლის ნეხვი და ერთი მესამედი კირისა თიხა მიწა. კირის სითხე არც სქელი უნდა იყოს და არც თხელი. მორავის დროს უნდა იხმაროთ სუფთა ჯოხი. ძაღლის ნეხვს იმიტომ ურევენ ამ სითხეში რომ, მისი სუნი სძულთ ყველა პატარა ცხოველებს: თავგებს და კურდღლებს, რომლებიც დაუძინებელი მტრები არიან ხის ძირისა და კანისა.

კირი კიდევ უსპობს სიცოცხლეს ყველა პატარა ცხოველს მაგ. ქიებს, ყაჭებს და თესლსაც. კირი ამასთანავე იფარავს ხეს ზამთრის ცივ ყინვებში.

კირის სითხის გარდა ხმარობენ კიდევ საშხურებლათ თამბაქოს სითხეს.

უნდა ავიღოთ ერთი გირვანქა თამბაქოს წეკო (მახორკისა) და ჩაჰყაროთ ერთ ჩაფ წყალში, მერე ადუღოთ სანამ ეს სითხე ერთ მესამედზედ არ დადგება. გაცივების შემდეგ გასწუროთ ან ტომარაში ან სხვა რამ თხელ ნაქსოვნში. ამ სითხესა ჰქვიან თამბაქოს ნახარში. აშხურებენ დაქიანებულ ნაყოფს მანქანით.

ამის გარდა ხმარობენ თამბაქოს ნაგობოს. იღებენ ერთ გირვანქა წეკო თამბაქოს და ალბობენ ნახევარ ჩაფ წყალში. რამდენიმე დღის შემდეგ სწურავენ ისე როგორც წინეთა ესთქვით და შემდეგ აშხურებენ საშხურებელი მანქანებით. გასწურულ თამბაქოს ხელმეორეთ ახსამე წყალს და ხარშავენ, რომლის წვენიც არაფრით არ ჩამოუვარდება პირველს.

ვისაც მახორკა არა აქვს შეუძლიან იხმაროს უბრალო თამბაქოს ძირები და უვარგისი ფოთლები. ერთი ჩაფი ჰყოფნის საშს ხეს.

მყარლი სუნისა გამო ქია ვერ უახლოვდება ნაყოფს რამდენიმე დღე და შიმშილითა კვდება. უკეთესია იხმარონ თამბაქოს ნაგობი. მხოლოდ შიგ უნდა გაუზირონ რამდენიმე მუქა გოგირდი, ახლად დამწვარი კირი და ტუტი.

ყველა იმის გარდა ამხადებენ კიდევ საპნის სითხეს:

უნდა აიღოთ სამი გირვანქა საპონი, ათ ბოთლ წყალზედ. ამ სითხეს ერთხელ წამოაღულებთ და მერე გაციებთ. გაციების შემდეგ მიუმატებენ კარბოლის მწუთხს. ამ რიგათ შეზავებულ ერთ ქიქა სითხეს ურევენ ერთ ჩაფ წმინდა წყალს და აშხურებენ ნაყოფის ქიისაგან დაზიანებულ ხეებს.

მაგრამ არც ერთი ამ საშუალებათაგანი არა სპობს ქიებს, სამუდამოთ თუ მაინც არა რამდენიმე წლით მაინც.

ყველაზედ უკეთეს წამლად ითვლება **შვეინფურტის საწამლავი**, რომელიც ისყილება ქ. თბილისში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში. გირვანქა ღირს ორი აბაზი.

შხადდება ამ ნაირად: უნდა აიღოთ შვეინფურტის 3-4 გირვანქა ფქვილი. გავხსნათ ნახევარ ვედრო წყალში. ეს სითხე ჩავასხათ ბოჩკაში, სადაც 40 ვედრო წყალია. აქვე უნდა ჩავასხათ 8-12 გირვანქა გახსნილი კირი. კირი უნდა გაიხსნას ერთ ნახევარ ვედრო წყალში. ჩახსნისთანავე უნდა ურიოთ სუფთა ჯოხით, რომ რიგიანათ შეზავდეს. ამასთანავე წყალი უნდა იყოს ძლიერ სუფთა-ანკარა და კირი გაუშლილი-ქვათ.

აქ ისიც უნდა ვსთქვათ რომ შვეინფურტის საწამლავით ნაშუქავი ხილი არამც და არამც არ იქმევა რამთენიმე კვირის განმავლობაში, რადგანაც ეს საწამლავი ძალიან მავნებელია ადამიანისთვისაც კი რამდენიმე კვირას განმავლობაში.

მიხა.

წერილი რედაქციისადმი.

ბატონო რედაქტორო!

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ახალშენის“ № 1-ში არის მოთავსებული წერილი სოფელ წვეილგან, ვითომც მე ავენტრი მიწის მზომელთან ერთათ ხალხს ტყავს ვაძრობდე. მე ვამტკიცებ რომ ეს ყოველივე სიმართლეს მოკლებულია, რაიცა გვიჩვენა „15“ მარბოლისთვის სახალხო კრებამ, და ვიწვევ ბ. კორესპოდენტს დაამტკიცოს თავისის სიტყვების სიმართლე ვინდ პრენსის, გინდა სამედიატორო სამართლის საშუალებით.

ი. ყიფიანი.

რედ.-გამაძიქველი პლატონ გაჩეჩილაძე.